# პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

## გადაწყვეტილება № 07

20 20 წ. "04" 02

ქ.თბილისი

**შპს მარნეულის კოლეჯისთვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ**

დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადებში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და $30^1$-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. შპს მარნეულის კოლეჯს (ს/კ: 234158498) მიენიჭოს უფლება, დამატებით განახორციელოს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:

საგანმანათლებლო პროგრამები

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების დონე / საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით | კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის | კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | ადგილების ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საექთნო განათლება *(1)* | მეხუთე დონე/ საფეხური | ა) ასოცირებული ხარისხი საექთნო საქმეში (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან) 0913<br>ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი) 090554 | 180 | 210 | ქართული | 90 | ქ. მარნეული, 26 მაისის ქ. N 80 |
| 2 | ფარმაცია (სააფთიაქო) *(1)* | მეხუთე დონე/ საფეხური | ა) ასოცირებული ხარისხი ფარმაციაში (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან) 0916<br>ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი) 090352 | 123 | 153 | ქართული | 64 | ქ. მარნეული, 26 მაისის ქ. N 80 |
| 3 | ინფორმაციის ტექნოლოგია *(1)* | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 0612 | 60 | 75 | ქართული | 16 | ქ. მარნეული, 26 მაისის ქ. N 80 |

*(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;*

*(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).*

2. შპს - მარნეულის კოლეჯს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 543-ით.
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 4 თებერვლის №1 სხდომის ოქმის მეშვიდე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
ნანა ყუფუნია ნ. ყუ

მდივანი
მარიამ ჩაგელიშვილი მ. ჩაგელიშვილი